MES 2 23 0000118660

03/02/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 20 იანვარს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89525534276?pwd=Yk1qQjFuK0V6UTh6eTY1RkIvQXZVQT09
Meeting ID: 895 2553 4276
Passcode: 066517

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის მონიტორინგის, შეფასების, კვლევისა და ანგარიშგების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112":
ეკატერინე მამაცაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს, სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი,
ვასილ იორამაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი,
ლელა მერაბიშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს, სასწავლო ცენტრის თანამშრომელი.

სსიპ კოლეჯი „სპექტრი":
ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე,
თამარ ხატიაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი:
სულხან სულხანიშვილი - დირექტორი,
თინათინ ენდელაძე - დირექტორის მოადგილე,
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:
ოთარ კემულარია,
კარმენ ვართანოვა,
თამარ ლომინაძე,
ალექსანდრე კეკენაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ ზაირა ბერიძეს.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:
1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - „112“-ის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ /01530/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ /01528/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ /01527/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ბექენდ დეველოპმენტი“ /01526/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ „სპექტრის” “Catia V5-ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა“ /01513/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგის მიხედვით

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - ,,112" -ის ,,საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი" /01530/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ, იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილია პროფესიული მომზადების პროგრამა - „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“.
ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1619383 ბრძანების საფუძველზე. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა კარმენ ვართანოვამ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 23 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ "112"-ში.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.
შემდეგ მან ისაუბრა პროგრამის პარამეტრების შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის მესამე დონის, პროგრამის ხანგრძლივობა არის 8 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 30, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, ზ. ფალიაშვილის №1.
პრეზენტაციის ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა პროგრამის საჭიროების შესახებ და აღნიშნა, რომ იურიდიული პირის მიერ წარმოედგენილი დასაბუთება საკმარისია. სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრი საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან 24 საათის განმავლობაში იღებს გადაუდებელი დახმარების საჭიროების შესახებ სატელეფონო შეტყობინებებს და გადასცემს უფლებამოსილ სამსახურებს (პოლიცია, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, სახანძრო-სამაშველო სამსახური) რეაგირებისთვის. სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ორიენტირებულია უფლებამოსილ სამსახურებთან კოორდინირებულ მუშაობაზე, ინფორმაციის დროული გაცვლით უზრუნველყოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გადაუდებელი დახმარების მიწოდება, სამსახური პერიოდულად დგას სხვადასხვა გამოწვევის წინაშე, ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს სტრესული სამუშაო გარემო, რაც კადრის გადინების მთავარი საფუძველია, აღნიშნული საკითხი პრობლემებს ქმნის შესაბამისი კადრის დროულად მოძიების კუთხით, რადგან დასაქმების ბაზარზე არ არსებობს ცენტრი, რომელიც უწყების საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამის დისციპლინებში მოამზადებს კადრს.
ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ერთი ხარვეზი 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ,
1.6. ქვესტანდარტი პროგრამის პირველი ხუთი სწავლის შედეგი არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და კომპეტენციით, არ არის დაკონკრეტებული, რომ მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, ვინაიდან არ არის სწავლის შედეგების ფორმულირებაში გამოყენებული შესაბამისი აქტიური ზმნები, ასევე, ბოლო ორი სწავლის შედეგი ფაქტობრივად ერთი შედეგია, თუმცა ფორმულირებულია

სხვადასხვაგვარად, ბოლო შედეგში ემატება ჩანაწერი „რეალურ სამუშაო გარემოში (პრაქტიკა სამუშაო გარემოში)“. ამავე ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა, ასევე, რეკომენდაცია - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილი იყოს ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
ასევე, გაიცა რეკომენდაცია 2.1. ქვესტანდარტთან მიმართებითაც, კერძოდ,
2.1 ქვესტანდარტი - რიგ შემთხვევაში პროგრამის განხორციელება პირებს ბრძანებით აქვთ განსაზღვრული, ხოლო რიგ შემთხვევაში გაფორმებულია ხელშეკრულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 31 დეკემბერი, ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული პროგრამის სახელწოდება, თუმცა ორგანიზაცია ახორციელებს სხვა მომზადების პროგრამასაც და ვერ იდენტიფიცირდება, რომელი პროგრამის (ან პროგრამის რომელი სწავლის შედეგის) განხორციელებაში არიან ჩართული ეს პირები, განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, თუმცა რეკომენდირებულია ნაკადის მიღებამდე განახლდეს მოქმედი ხელშეკრულებები.
რაც შეეხება სწავლების მეთოდებს, როგორც ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რაც მოიცავს პროგრამის დაახლოებით 70-80%-ს. პროგრამა ხორციელდება სრულად სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში „112“ შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში და გათვალისწინებულია რეალური ქეისების სასწავლო პროცესში გამოყენება, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენება სატესტო რეჟიმით და როლური თამაშები. პრეზენტაციის ფარგლებში, ასევე წარმოდგენილი იყო სასწავლო გარემოს ფოტო მასალა.
ასევე ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასაუბრებისას, მათ დასვეს კითხვა, თუ რამდენად საჭიროა დაშვების წინაპირობად იყოს განსაზღვრული კომპიუტერული უნარ-ჩვევების ქონა ან უცხო ენის ცოდნა, რაზეც დაწესებულებამ განმარტა, რომ შერჩევის პროცესში გამოცდა ემსახურება კომპიუტერული უნარ-ჩვევების გამოვლენას, რაც შეეხება უცხო ენას, ეს არის დამატებითი პრიორიტეტი დასაქმებისას.
შემდეგ მან ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო შევსებული კითხვარები, თუმცა ანალიზის დოკუმენტი დაწესებულებას არ წარმოუდგენია, ვინაიდან მსგავსი ანალიზი მათი მხრიდან წელიწადში ერთხელ მზადდება.
დანარჩენ ქვესტანდარტებთან მიმართებაში ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ბაბალაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები და იქვე განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში ფიქსირდება ხარვეზი და მნიშვნელოვანია სწავლის შედეგები იყოს ნათლად და კონკრეტულად ფორმულირებული, საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინათ ვადის განსაზღვრის თაობაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი გაითვალისწინებენ რეკომენდაციას სწავლის შედეგების ფორმულირების შეცვლასთან დაკავშირებით, ასევე, გათვალისწინებულია რეკომენდაცია ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“ /01530/

პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს (ს/კ: 205390487) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი /01530/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ /01528/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ წარედგინათ საკითხი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 8 დეკემბერს №1564675 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტთან თამარ ლომინაძესთან ერთად განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში, მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქუჩა №6. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
მან ისაუბრა პროგრამის პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამისთვის მე-4 დონე იყო განსაზღვრული. თუმცა, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების

შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროგრამა შეესაბამება მე-3 დონეს. პროგრამის ხანგრძლივობა - 14 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 50. მან დასძინა, რომ პროგრამის მიზანია, „Front End development“-ის მიმართულებით მოამზადოს ისეთი კადრი, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა front end დეველოპინგში. აღნიშნული პროგრამა მსმენელს აძლევს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელიც შემდეგ დაეხმარება მას გაიღრმაოს უნარები front end დეველოპინგის უმაღლეს საფეხურზე. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის 90% ეთმობა.
რაც შეეხება პროგრამის საჭიროების დასაბუთებას, როგორც მან აღნიშნა, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რომლის თანახმად კოლეჯმა განახორციელა კვლევა და გამოიკვეთა, რომ IT მიმართულებით, უფრო კონკრეტულად ფრონტენდ დეველოპმენტის მომსახურების სფერო, განიცდის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. დოკუმენტის თანახმად მომსახურების სფეროში არის პროფესიონალი სამუშაო ძალის დეფიციტი. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტის მიერ მოთხოვნილ იქნა კვლევის/ანალიზის დოკუმენტი. კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს კვლევის პროცედურები და წარმოდგენილ იქნა კვლევის დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ ვებ დეველოპერი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. პროგრამირება აქტუალური პროფესიების TOP 10-ში შედის. გამოკითხვაში გამოიკვეთა, რომ საქართველოს უნივერსიტეტი არის აღნიშნული კვალიფიცირებული კადრების ძირითადი მომთხოვნი, რომლის მხრიდანაც მოდის ძირითადი მოთხოვნები კოლეჯის მიმართ ვებ სპეციალისტებთან მიმართებაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი ახორციელებს მოდულურ პროგრამას ვებ სპეციალისტი და აღნიშნული მომზადების პროგრამა ძირითადად მიღებული ცოდნის გაღრმავებას და გაზრდას ემსახურება.
ასევე, აქტუალობას ადასტურებს აპლიკანტების მიმართვიანობა და მოთხოვნა პროგრამირების მიმართულებით. გასაუბრებაზე საკმაოდ ბევრი აპლიკანტი მიდის, რომელთაც სურთ პროგრამირების შესწავლა, მაგრამ სამსახურის გამო ვერ ირჩევენ გრძელვადიან პროგრამებს. შესაბამისად ურჩევნიათ პროფესიული მომზადების/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები, რომლებსაც სამსახურს შეუთავსებენ.

შემდეგ მან ისაუბრა ვიზიტისას დაფიქსირეულ ხარვეზებზე და გაცემულ რეკომენდაციებზე.
ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი გამოვლინდა **2.4 ქვესტანდარტთან** მიმართებაში, კერძოდ:
2.4 ქვესტანდარტი - 2022 წლის 3 დეკემბრის N341 მიწერილობის დოკუმენტში მითითებული ვადები ვიზიტის დროს გასული იყო, ხოლო კოლეჯში ვიზიტის დროს კოლეჯის შენობა-ნაგებობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა არ იყო განხორციელებული. მიმდინარე წლის 29 დეკემბერს N1675550 წერილით საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა ცენტრში წარმოადგენა 2022 წლის 27 დეკემბრის ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N2017, რომლის მიხედვითაც კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ, პროგრამა წარმოდგენილია ელექტრონული სისტემის (QMS.EQE.GE) მიერ გენერირებული ფორმით.
პროგრამის დაშვების წინაპირობის ველში მითითებულია, კონკურსი-მოტივირებული გასაუბრება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმად განსაზღვრულია გასაუბრება.
1.4. ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე პროგრამის დაშვების წინაპირობაში მიეთითოს საბაზო განათლება.

1.6 ქვესტანდარტი - სწავლის შედეგებში სიტყვს „ვებ-გვერდი“ ტექნიკურად არასწორადაა მითითებული (მაგ: ვებ-გევრდი, ვებ-გერდი) და რეკომენდირებულია გასწორდეს მსმენელთა მიღებამდე.

დანარჩენ ქვესტანდარტებთან მიმართებაში ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო დაწესებულების სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტო-მასალა.
შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული მატერიალური და სასწავლო რესურსი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა პროგრამის განმახორციელებლებზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით სამივე პროგრამაზე ორ-ორი განმახორციელებელი პირი იყო წარმოდგენილი, თუმცა საათობრივი დატვირთვიდან და ჯგუფებიდან გამომდინარე, რაც მოთხოვნილია დაწესებულების მიერ, სასურველი იქნებოდა, რომ პროგრამების განხორციელებაში ჩართულიყვნენ მეტი განმახორციელებლები, როგორც მან განმარტა, დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით ოთხი განმახორცილებელი პირი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ /01528/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფრონტენდ დეველოპმენტი /01528/
(დანართი 1).

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ /01527/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 8 დეკემბრის №1564673 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტთან ალექსანდრე კეკენაძესთან ერთად განახორციელეს ვიზიტი 2022 წლის 16 დეკემბერს შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში, მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქუჩა №6. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების „ფრონტენდ დეველოპმენტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა პროგრამის პარამეტრებზე, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამისთვის მე-4 დონე იყო განსაზღვრული. თუმცა, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროგრამა შეესაბამება მე-3 დონეს., პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 50. პროგრამის მიზანია, „Front End development“- ის მიმართულებით გადაამზადოს მსმენელები კვალიფიციურ სპეციალისტებად. გამოუმუშავოს მსმენელებს ის ცოდნა და კომპეტენციები, რომლის დახმარებითაც შეძლებენ ვებ გვერდის აწყობას თანამედროვე Framework-ების გამოყენებით, როგორიცაა VUE.JS. მან დასძინა, რომ პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის 90% ეთმობა.

რაც შეეხება პროგრამის საჭიროების დასაბუთებას, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რომლის თანახმად კოლეჯმა განახორციელა კვლევა და გამოიკვეთა. რომ IT მიმართულებით, უფრო კონკრეტულად ფრონტენდ დეველოპმენტის მომსახურების სფერო, განიცდის კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. დოკუმენტის თანახმად მომსახურების სფეროში არის პროფესიონალი სამუშაო ძალის დეფიციტი.

კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტის მიერ მოთხოვნილ იქნა კვლევის/ანალიზის დოკუმენტი. კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს კვლევის პროცედურები და წარმოდგენილ იქნა კვლევის დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ ვებ დეველოპერი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. პროგრამიება აქტუალური პროფესიების TOP 10-ში შედის.

გამოკითხვაში გამოიკვეთა, რომ საქართველოს უნივერსიტეტი არის ძირითადი მომთხოვნი აღნიშნული კვალიფიცირებული კადრების, რომლის მხრიდანაც მოდის ძირითადი მოთხოვნები კოლეჯის მიმართ ვებ სპეციალისტებთან მიმართებაში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი ახორციელებს მოდულურ პროგრამას ვებ სპეციალისტი და აღნიშნული გადამზადების პროგრამა ძირითადად მიღებული ცოდნის გაღრმავებას და გაზრდას ემსახურება.

ასევე, აქტუალობას ადასტურებს აპლიკანტების მიმართვიანობა და მოთხოვნა პროგრამირების მიმართულებით. გასაუბრებაზე საკმაოდ ბევრი აპლიკანტი მიდის, რომელთაც სურთ პროგრამირების შესწავლა, მაგრამ სამსახურის გამო ვერ ირჩევენ გრძელვადიან პროგრამებს. შესაბამისად ურჩევნიათ მომზადების/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები, რომლებსაც სამსახურს შეუთავსებენ.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგებს, აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამა წარმოდგენილია 5 სწავლის შედეგით, რომლებიც სრულად და ამომწურავად მოიცავენ პროგრამის შესწავლისთვის აუცილებელ თემატიკას. სწავლის შედეგები მსმენელს აძლევს თეორიულ ცოდნას, ასევე, პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს.
ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი დაფიქსირდა **2.4 ქვესტანდარტთან** მიმართებაში, კერძოდ
2.4 ქვესტანდარტი - 2022 წლის 3 დეკემბრის № 341 მიწერილობის დოკუმენტში მითითებული ვადები ვიზიტის დროს გასული იყო, ხოლო კოლეჯში ვიზიტის დროს კოლეჯის შენობა-ნაგებობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა არ იყო განხორციელებული. მიმდინარე წლის 29 დეკემბერს N1675550 წერილით საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა ცენტრში წარმოადგენა 2022 წლის 27 დეკემბრის ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N2017, რომლის მიხედვითაც კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის მითითებული, რომ პირს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი ან საბაზო განათლება, აღნიშნული განიმარტა ტექნიკურ უზუსტობად, მითითებული უნდა იყოს საბაზო განათლება.
1.4. ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე დაშვების წანაპირობაში მიეთითოს საბაზო განათლება.
დანარჩენ ქვესტანდარტებთან მიმართებაში ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო დაწესებულების სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტო-მასალა.

ამის შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში პროგრამებზე წარმოდგენილი იყო ორ-ორი განმახორციელებელი პირი. მან განმარტა, რომ აღნიშნული განმახორციელებლები ასევე ჩართული იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან გაიცა რეკომენდაცია განმახორციელებელი პირების დამატებასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა. დარგის ექსპერტმა დადებითად შეაფასა დაწესებულებაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ფრონტენდ დეველოპმენტი“ /01527/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ფრონტენდ დეველოპმენტი /01527/ **(დანართი 2).**

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ,,ბექენდ დეველოპმენტი" /01526/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და აღნიშნა რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 16 დეკემბერს №1572153 ბრძანების საფუძველზე, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში, მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქუჩა №6. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ბექენდ დეველოპმენტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი **2.4. ქვესტანდარტთან** მიმართებაში, კერძოდ არ იყო განხორციელებული კოლეჯის შენობა-ნაგებობის დეტალური სახანძრო ტექნიკური გამოკვლევა, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის შემდეგ წარმოადგინა. მიმდინარე წლის 29 დეკემბერს N1675550 წერილით საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა ცენტრში წარმოადგენა 2022 წლის 27 დეკემბრის ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N2017, რომლის მიხედვითაც კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
ასევე ვიზიტის დროს 1.4. ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ
1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე პროგრამის დაშვების წინაპირობაში მიეთითოს საბაზო განათლება.
მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, კერძოდ აღსანიშნავია, რომ web დეველოპერი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი პროფესიაა არა მარტო საქართველოშო, არამედ მთელს მსოფლიოში. პროგრამირება აქტუალური პროფესიების Top 10-ში შედის, გარდა ამისა, ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადია, კოლეჯმა წარმოადგინა პარტნიორებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიშის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, შეხვედრას ესწრებოდნენ რეგიონის ბაზარზე წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები, რათა გამოკვეთილიყო სამომხმარებლო ბაზარზე არსებული ტენდენციები, სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარების მქონე პირების ნაკლებობა და აუცილებლობა, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო

კოლეჯის მიერ ახალი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების საფუძველი, დამსაქმებლის მხრიდან გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მოთხოვნადი მიმართულება დეველოპინგია.
რაც შეეხება პროგრამის მიზანს, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შებამისობასია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია „ბექანდ დეველოპმენტის“ მიმართულებით მოამზადოს ისეთი კადრები, რომელსაც ექნება საბაზისო ცოდნა back end დეველოპინგში, აღნიშნული პროგრამა მსმენელს აძლევს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელიც შემდეგ დაეხმარება მას გაიღრმავოს უნარები back end დეველოპინგის უმაღლეს საფეხურზე, წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისიწინებს 9 სწავლის შედეგის მიღწევას.
ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამისთვის მე-4 დონეა განსაზღვრული. თუმცა, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროგრამა შეესაბამება მე-3 დონეს.
პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორინტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშაბისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის 90% ეთმობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში არ არის მითითებული, რომ პირს უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი და საბაზო განათლება, აღნიშნული განიმარტა ტექნიკურ უზუსტობად, მითითებული უნდა იყოს: საბაზო განათლება, ამრიგად გაიცა რეკომენდაცია, პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე, დაშვების წინაპირობაში მიეთითოს საბაზო განათლება.
მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპაეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული პროფესიული მომზადების პროგრამაზე მოითხოვა 50 მსმენელი, პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლის საშუალებითაც მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, კონკრეტულად, ამ პროგრამისთვის შენობაში გამოყოფილია შესაბამისი B სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია ერთდროულად 25 მსმენელისთვის შესაბამისი სამუშაო მაგიდა და სკამი, ასევე ციფრული სადემონსტრაციო საშუალებები, აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერების მონაცემები, პარამეტრები სრულად შეესაბამება და აღემატება კიდეც მოთხოვნილ სტანდარტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება 50 მსმენელი, ორ ჯგუფად. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, კერძოდ განაცხადის თანდართული დოკუმენტებით პროგრამას განახორციელებს 2 განმახორციელებელი პირი, ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია განმახორცილებელი პირების დამატების საჭიროების შესახებ, დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და წარმოადგინა დამატებით 4 განმახორცილებელი პირის ხელშეკრულება. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება განმახორცილებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა მათი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ ისაუბრა სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე პროგრამის მსმენელებისათვის, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილ განაცხადში მითითებული აქვს მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, დადგინდა, რომ დაწესებულებაში არის

ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომია მსმენელებისთვის. დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, ასლგადამღებით და ყველა საჭირო რესურსით, მსმენელებს შეუძლიათ სასწავლო რესურსები გამოიყენონ ადგილზე, ან საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი მასალა მიიღონ ამობეჭდილი სახით.
სახანძრო უსაფრთხოებათან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კოლეჯში ვიზიტის დროს შესაბამისი სააგენტოს მხრიდან კოლეჯის შენობა-ნაგებობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა არ იყო განხორციელებული, ამიტომ ვერ შეფასდა ქვესტანდარტი დამაკმაყოფილებლად, თუმცა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა კოლეჯის შენობა-ნაგებობის შესახებ, საიდანაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდიანრეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
დაწესებულებამ ვიზიტის დროს ასევე წარმოადგინა „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“, სადაც გაწერილია უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები.
სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ დანარჩენ ქვესტანდარტებთან მიმართებაში ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
ამის შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში პროგრამებზე წარმოდგენილი იყო ორ-ორი განმახორციელებელი პირი. მან განმარტა, რომ აღნიშნული განმახორციელებლები ასევე ჩართული იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან გაიცა რეკომენდაცია განმახორციელებელი პირების დამატებასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა. დარგის ექსპერტმა დადებითად შეაფასა დაწესებულებაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ბექენდ დეველოპმენტი“ /01526/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბექენდ დეველოპმენტი /01526/
(დანართი 3).

5. სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" "Catia VS-ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა" /01513/ პროფესიული მომზადებოს პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 8 დეკემბრის №1572950 ბრძანების საფუძველზე, ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ოთარი კემულარიამ განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,სპექტრში", მის: ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. N10

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „Catia V5 – ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

მან ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის დონეა მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15.

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია Catia V5 – ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა, რაც მოიცავს Catia V5 -ის პანელის საშუალებით ესკიზის შესრულებას, ესკიზის მიხედვით 3D სხეულის შექმნასა და მის დამუშავებას.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებაზე, მან აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯი ,,სპექტრის" მიერ წარმოდგენილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რომლის თანახმად მშენებელობასა და წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და გარკვეული სამუშოების შესასრულებლად კომპიუტერული მართვის პანელების გამოყენება ფართოდ ინერგება და შესაბამისად იზრდება მოთხოვნა ამ მიმართულებით კვალიფიციურ კადრზე. Catia V5 არის ერთ ინტერფეისში გაერთიანებული მრავალმოდულური პროგრამა, რომელიც აერთიანებს საინჟინრო მიმართულებების და დიზაინის პროგრამებს, ასევე ყველა ტიპის პროგრამული ჩარხების და რუთერების მართვის პროგრამირებას. აღნიშნული პროგრამით საქართველოში სარგებლობენ სხვადასხვა კომპანიები, რომელთა მომართვისა და თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული მომზადების პროგრამა „Catia V5 – ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა“. ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამით თანამშრომლების მომზადებით დაინტერესებულია არაერთი კომპანია, მათ შორის შპს „ელექტრონთან“ და შპს „ელ+ თან“ კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. პროგრამის შემუშავებისა და შემდგომში სწავლების განხორციელების მიზნით კოლეჯის მიერ მოწვეული იქნა სხვადასხვა კომპანიაში მუშაობის და ამ მიმართულებით მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტი. აქვე აღინიშნა, რომ სსიპ კოლეჯი „სპექტრი“ 2019 წლიდან ახორციელებს მსგავსი შინაარსის პროფესიული მომზადების პროგრამას „სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება“. პროგრამაზე სტაბილური მოთხოვნაა დამსაქმებლების მხრიდან მოამზადონ/გაადაამზადონ საკუთარი კომპანიისთვის კადრები.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია 3 სწავლის შედეგი. კოლეჯს აქვს youtube არხი, სახელწოდებით „უსაზღვრო ინჟინერია“, სადაც განთავსებულია ვიდეო რგოლები, რომელიც ასევე გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. კოლეჯს გაფორმებული აქვს

ხელშეკრულება ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან. ხელშეკრულებები გაფორმებულია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, თუმცა ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს პროგრამის სრულად ადგილზე, B გარემოში განხორციელებას (80% პრაქტიკა) - თუმცა პარტნიორ ორგანიზაციებში გაცნობითი ხასიათის ვიზიტები იგეგმება სამუშაო პროცესის ადგილზე გასაცნობად.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ,
2.4. ქვესტანდარტი - მიწერილობის დოკუმენტში მითითებული ვადები ვიზიტის დროს გასული იყო, ხოლო კოლეჯში ვიზიტის დროს კოლეჯის შენობა-ნაგებობის დეტალური სახანძრო ტექნიკური გამოკვლევა არ იყო განხორციელებული.
3.4. ქვესტანდარტი - წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა შევსებული კითხვარები, თუმცა გამოკითხვა სისტემატიურ და სიღრმისეულ ხასიათს არ ატარებს, შესაბამისად არ ხდება სრულყოფილი ანალიზი და პროგრამების თუ რესურსების გაუმჯობესების, განახლების ან ცვლილების ინიციატივების წარმოდგენა, რასაც უნდა დაეყრდნოს პროგრამის განვითარება განხორციელების ვადაში.
3.6. ქვესტანდარტი - 2020 წლის თებერვალში კოლეჯმა ახალ სტამბასთან დაიწყო თანამშრომლობა, რის საფუძველზეც განახლდა სერტიფიკატის ფორმა და მასზე დატანილი ინფორმაცია, თუმცა აღნიშნულის თაობაზე კოლეჯმა ცენტრს ინფორმაცია არ მიაწოდა და არ შეუთანხმებია განახლებული სერტიფიკატი ენობრივ სისწორეზე.
3.7. ქვესტანდარტი - სერტიფიკატები არ არის გაცემული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გაცემული სერტიფიკატების შესაბამისი ენობრივი სისწორე არ არის შეთანხმებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 მაისის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების მიმართ დადგენილი მოთხოვნები“, კერძოდ დანართი №3-ის, პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერთიფიკატის ფორმის მოთხოვნები, რომელიც დადგენილია დანართის მეორე მუხლით „მუხლი 2. სერტიფიკატის მონაცემები“.
ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ,
1.10 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამაში, რომ ბოლო კვირას ხდება სამივე სწავლის შედეგის განმსაზღვრელი შეფასება.
3.2. ქვესტანდარტი -კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით იცავს 3 სამუშაო დღის ვადას შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით აპლიკანტთა ინფორმირებისას, აღნიშნული არ დაფიქსირებულა ხარვეზად და გაიცა რეკომენდაცია, შესაბამისი ჩანაწერი გასწორდეს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №234 (02.11.2022) დამტკიცებულ წესში.
3.4. ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, კოლეჯმა განაახლოს და დანერგოს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები, განაახლოს კითხვარები, ამავდროულად პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაში ჩაერთოს კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის სამსახური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
3.7. ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, სერტიფიკატის განახლებული ვარიანტი შეთანხმდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
ცენტრის წარმომადგენელმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა დაწესებულების სასწავლო გარემოს ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია დასკვნაში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მან დასძინა რომ საბჭოსთვის ცნობილია დასკვნაში ასახული ინფორმაცია და დაინტერესდა, ხომ არ შეცვლილა რამე დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ და რა ეტაპზე იყო ეს პროცესები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან მიმართებით 2022 წლის 28 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა შუამდგომლობა, ხოლო 2023 წლის 16 იანვარს საბჭოს გადაეგზავნა გაფორმებული ხელშეკრულება სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა, თუ რა ვადაში უნდა მომხდარიყო ხალშეკრულების პირობების შესრულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პროექტირება უკვე მიმდინარეობს, შემდგომ უნდა განხორციელდეს სატენდერო პროცედურები, მან დასძინა, რომ გამოცდილებიდან გამომდინარე ტენდერი შედგება, თუმცა ამას დრო ჭირდება, დაახლოებით ერთი თვე, აპრილის თვეში ეს პროცესები დასრულებული იქნება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ვარლამ ავალიშვილმა სერტიფიკატებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკვე გადმოგზავნილია ცენტრში წერილი სერტიფიკატების ენობრივ სისწორესთან დაკავშირებით. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს, აღნიშნული გაწერილია შიდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებში, თუმცა არ არის გამოყოფილი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები განცალკევებულად, დაწესებულება ცალკე გაწერს რეგულაციას პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებისთვის, თუმცა ამასთან დაკავშირებით ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესის შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს აუცილებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მნიშვნელოვანია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შესრულდეს სრულყოფილად, პროცესი უნდა იყოს თანმიმდევრული დემინგის ციკლის შესაბამისად, ასევე განვითარებაზე ორიენტირებული.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა გააკეთა განმარტება, რომ დაწესებულებას შეუძლია გაიზიაროს ეს რეკომენდაციები და გაითვალისიწინოს, ან არ გაითვალისწინოს.
სამწუხაროდ, დღეს წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით ამ მოცემულობით დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორების ვადასაც ვერ მისცემს საბჭო, ვინაიდან ხარვეზი დაფიქსირებულია ორ სტანდარტთან მიმართებაში, ეს არის ფაქტობრივი მდგომარეობა. მას დასძინა, რომ მისასალმებელია, დაწესებულების მიმღებლობა, სერტიფიკატის საკითხიც დაძრულია, ასევე მოგვარებადია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა, თუმცა ფაქტია, რომ ამ ეტაპისთვის სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ საბჭოს მოვალეობაა იხელმძღვანელოს დადგენილი ნორმებით, ხოლო ეს მოცემულობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის თაობაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, საბჭოს აპარატს, რომ დაწესებულებაში ჩაინიშნოს მონიტორინგი გონივრულ ვადაში მესამე სტანდარტთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „სპექტრის" "Catia V5-ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა" /01513/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 10

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - Catia V5-ის გამოყენებით ფურცლოვანი მასალის ესკიზის და საამწყობო მოდულების შექმნა /01513/.

საბჭოს სხდომა დასრულდა : 15:51 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01528	ფრონტენდ დეველოპმენტი	პროფესიული მომზადება	მესამე	14	ქართული	50	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01527	ფრონტენდ დეველოპმენტი	პროფესიული გადამზადება	მესამე	13	ქართული	50	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01526	ბექენდ დეველოპმენტი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	50	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6